საიდ. №78350/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №70-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, ა. დალაქიშვილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ” პუნქტისა და 2015 წლის 17 ივნისის №ა-136 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „მუკოს ემულზიონსგეზელშაფტ მბჰ ხემიშ-ფარმაცოიტიშე ბეტრიბე“ (MUCOS EMULSIONSGESELLSCHAFT MBH CHEMISCH-PHARMAZEUTISCHE BETRIEBE) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №70-03/14), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 07 აპრილის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №678/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „ВОБЭНЗИМ” (საიდ. №78350/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

„საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 07 აპრილის №678/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ ნიშანს „ВОБЭНЗИМ“ უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „Mucos Emulsionsgesellscaft mbH, chemisch-pharmazeutische Betriebe" (მისამართი: Malvenweg 2, D-82538 Geretsried; DE) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი და იდენტური საქონლისთვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნებისა: „WOBENZYM“ (IR 688039, რეგ.თარ: 1997-10-22, გავრცელების თარიღი: 1999-03-18) და „WOBENZYM“ (IR 786589, რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი 2002-04-07). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული ნიშანი შესრულებულია კირილიცაზე, ხოლო დაპირისპირებული ნიშნები ლათინური ანბანით. სამივე სასაქონლო ნიშანი სიტყვიერია და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. მსგავსებას აძლიერებს ისიც, რომ არცერთ ნიშანს არ ახლავს რაიმე ელემენტი, რომელიც მიანიჭებდა მათ განმასხვავებლობას. ზემოაღნიშნული ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის ერთი და იმავე კომპანიას „მუკოს ემულზიონსგეზელშაფტ მბჰ ხემიშ-ფარმაციტიშე ბეტრიბე“ (MUCOS EMULSIONSGESELLSCHAFT MBH CHEMISCH-PHARMAZEUTISCHE BETRIEBE).

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში 2015 წლის 26 ივნისს დაფიქსირებული ცვლილების თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელმა კომპანიამ „მუკოს ემულზიონსგეზელშაფტ მბჰ ხემიშ-ფარმაცოიტიშე ბეტრიბე“ (MUCOS EMULSIONSGESELLSCHAFT MBH CHEMISCH-PHARMAZEUTISCHE BETRIEBE) შეიცვალა მისამართი. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის ერთი და იგივე კომპანიას „მუკოს ემულზიონსგეზელშაფტ მბჰ ხემიშ-ფარმაცოიტიშე ბეტრიბე“ (MUCOS EMULSIONSGESELLSCHAFT MBH CHEMISCH-PHARMAZEUTISCHE BETRIEBE), შესაბამისად არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის აპელანტ კომპანიას, ადგილი აღარ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „მუკოს ემულზიონსგეზელშაფტ მბჰ ხემიშ-ფარმაციტიშე ბეტრიბე“ (MUCOS EMULSIONSGESELLSCHAFT MBH CHEMISCH-PHARMAZEUTISCHE BETRIEBE) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 07 აპრილის „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ №678/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „ВОБЭНЗИМ" (საიდ. №78350/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ლ. ახობაძე

ა. დალაქიშვილი